

გამტკიცებ:  
კრიტიკული მედიცინის  
ინსტიტუტის დირექტორი  
აკად. (ზურაბ ხელაძე)

„-----“ „-----“ „-----“

## დებულება

კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს შედგენის,  
საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭოს შედგენის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც გაიარა დოქტორანტურის სრული კურსი და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით დაიცვა დისერტაცია.

### მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის მედიცინასა და ბიოლოგიაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში
2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი
3. სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე მის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით, ორი წლის ვადით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას სრული პროფესორი.
4. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ორჯერ.
5. საბჭოს თავმჯდომარე ირჩევს მოადგილეს და სწავლულ მდივანს, რომელთაც სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილეს ან სწავლულ მდივანს ამტკიცებს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი
7. სადისერტაციო საბჭოში საქმის წარმოებას, დოკუმენტების მიღებას, აღრიცხვას და შენახვას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.
8. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4.

9. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.
10. საბჭოს სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს საბჭო ხმათა უმრავლესობით.

### **მუხლი 3. მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისადმი**

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის მომზადება უნდა მოხდეს დოქტორანტურის შესახებ დებულებით დადგენილი წესით.
2. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიანიჭოს მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ და სადისერტაციო საბჭოს სარეგისტრაციო დოკუმენტში დადასტურებულ დარგში.
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა იყოს დასრულებული სამეცნიერო კვლევა, რომელშიც გადაწყვეტილია აქტუალური სამეცნიერო პრობლემა (პრობლემები) და მიღებულია შესაბამის დარგში არსებული საერთაშორისო დონის ახალი თეორიული, ექსპერიმენტული ან კლინიკური შედეგები.
4. დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იყოს დარგის რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, შრომათა კრებულებსა და მონოგრაფიებში, რომლებიც იბეჭდება საქართველოსა და საზღვარგარეთის გამოცემებში და ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით. სამეცნიერო შრომების მინიმალური რაოდენობაა 5.
5. დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნებული პუბლიკაციების კრებულის სახით ( 5 ფორმატი), საერთო შესავალით, შედეგების განხილვით და დასკვნებით.
6. სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი ამტკიცებს სამეცნიერო გამოცემების ნუსხებს, რომლებშიც გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის (დისერტაციისათვის) გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურებთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს დისერტანტი.
8. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტების გაყალბების დადგენის შემთხვევაში დისერტაცია იხსნება განხილვიდან.

### **მუხლი 4. დისერტაციის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში**

1. ნაშრომის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა მისი წინასწარი განხილვა (აპრობაცია) იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა.
2. სადისერტაციო ნაშრომი შესაძლებელია წარდგენილი და მხარდაჭერილი იქნეს პროფესიული ასოციაციების მიერ.
3. პირველადი მასალის სანდოობას წერილობით ადასტურებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.
4. სტრუქტურული ქვედანაყოფის დასკვნა ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს.

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო ნაშრომის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში ქმნის საექსპერტო კომისიას.
6. საექსპერტო კომისია იქმნება სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.
7. საექსპერტო კომისიაში არ შეიძლება შედიოდნენ: დისერტანტის ხელმძღვანელი, დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის წარმომადგენელი, სადაც მუშაობს დისერტანტი ან შესრულდა სადისერტაციო ნაშრომი (ნაშრომის ნაწილი).
8. საექსპერტო კომისიის სამუშაო დოკუმენტაცია და დასკვნა, მისი სადისერტაციო საბჭოსათვის გადაცემამდე განიხილება კონფიდენციალურად. ამ დოკუმენტაციის კონფიდენციალობის დარღვევისათვის საექსპერტო კომისიის წევრს ეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. საექსპერტო კომისიის წევრები დასკვნას გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. დისერტაციის საჯარო დაცვისათვის სპეციალიზებული საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით, დასკვნაში მიეთითება სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი და მომიჯნავე სპეციალობები.
10. საექსპერტო კომისიის წევრთა უმრავლესობის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, დისერტაცია განსახილველად და საჯარო დაცვისათვის გადაეცემა სპეციალიზებულ საბჭოს, რომელიც სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით იქმნება კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ და მის შემადგენლობას ამტკიცებს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი. სპეციალიზებული საბჭოს წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთ სხვა დაწესებულებიდან.
11. დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის თარიღს.
12. სპეციალიზებული საბჭოს წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია ურიგდებათ დაცვამდე ერთი თვით ადრე, განთავსდება კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ვებ გვერდზე და გადაეცემა კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას.
13. საექსპერტო კომისიის უმრავლესობის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს და მისი ხელახალი წარდგენა შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა.
14. საექსპერტო კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტს უფლება აქვს:
  - ა) მოითხოვოს საჯარო დაცვის მოწყობა;
  - ბ) მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი. ამ შემთხვევაში ახალი დისერტაციის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ.
15. ამ მუხლის მე-16 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა დაიშვება კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის

დირექტორისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში.

16. დისერტაციის დაცვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს სადისერტაციო საბჭოში მისი რეგისტრაციის დღიდან. ამ ვადის ათვლისას არ ჩაითვლება წინამდებარე დებულების მ.2-ის პ.11-ით დადგენილი პერიოდი.
18. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე. დისერტაციის წარდგენა ან დაცვა რომელიმე სხვა ენაზე დასაშვებია კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის გადაწყვეტილებით.

## მუხლი 5. დისერტაციის საჯარო დაცვა

1. სპეციალიზებული საბჭოს სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.
2. სპეციალიზებული საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც საბჭოს მუშაობაში მონაწილეობს სრულუფლებიანი წევრის სახით და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს საბჭო იღებს ხმათა უმრავლესობით.
3. დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
  - ა) სადისერტაციო ნაშრომის მოხსენებას (30-40 წუთი);
  - ბ) შეკითხვებს დისერტანტისადმი, აზრის გამოთქმას, სამეცნიერო დისკუსიას;
  - გ) სწავლული მდივნის ინფორმაციას ექსპერტების დასკვნების და დისერტაციის თაობაზე შემოსული სხვა დოკუმენტების შესახებ.
  - დ) დისერტანტის პასუხს გამოთქმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე.
  - ე) თავმჯდომარეების შემაჯამებელ შეფასებას;
  - ვ) ფარულ კენჭისყრას.
4. სპეციალიზებული საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის გასამართლად აუცილებელია კვორუმის არსებობა. ხარისხის მინიჭებისათვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედის მიღება. კენჭისყრა და კენჭისყრის შედეგების დაფიქსირება ხდება სპეციალიზებული საბჭოს მიერ დადგენილი პროცედურული მოთხოვნების შესაბამისად.
5. ხარისხის მაძიებელს უფლება აქვს:
  - ა) მოითხოვოს სპეციალიზებული საბჭოს სხდომის ოქმის ასლი;
  - ბ) გააპროტესტოს ფარული კენჭისყრის შედეგები სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი დღის ვადაში, თუ მისი აზრით, დაცვის მსვლელობისას მოხდა პროცედურული დარღვევები;
  - გ) ერთი წლის შემდეგ კვლავ წარმოადგინოს დასაცავად დისერტაციის გადამუშავებული ვარიანტი, რომლის განხილვაც მოხდება იგივე წესით.
  - დ) ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება.

## **მუხლი 6. დიპლომების გაფორმება და გაცემა**

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს გასცემს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი და მას ხელს აწერს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად სადისერტაციო საბჭო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.
2. დიპლომის დაკარგვის შემთხვევაში, მოთხოვნისამებრ, გაიცემა დიპლომის დუბლიკატი ახალი ნუმერაციით.

## **მუხლი 7. გარდამავალი დებულებები**

1. სადისერტაციო საბჭო 2008 წლის 1 ივლისამდე განსახილველად მიიღებს:
  - ა) 2007 წლამდე აპრობირებულ სადისერტაციო ნაშრომებს;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, დისერტანტს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკანდიდატო გამოცდების პროგრამით გათვალისწინებული ყველა გამოცდა და გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სადისერტაციო თემის ძირითადი შედეგების სრულად ამსახველი მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, 2006 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედ, პუბლიკაციისათვის რეკომენდებული ნუსხით გათვალისწინებულ გამოცემებში.
3. ამ მუხლით განსაზღვრული დისერტანტებისათვის მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის და მისი თანმხლები დოკუმენტების მიმართ ძალას ინარჩუნებს 2007 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმატიული მოთხოვნების ფარგლებში, ხოლო დისერტაციის დაცვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

## **დანართი 1**

### **კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი**

### **ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა**

1. განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;
2. შუამდგომლობა დისერტაციის წარმდგენი ორგანიზაციიდან;
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით;
5. დისერტაციის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) ოქმი;
6. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;
7. დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (დისერტაციის დოქტორანტურის შემოღებამდე პერიოდში შესრულების შემთხვევაში – საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
8. დისერტაცია - ხელნაბეჭდი სახით 5 ეგზ. და ელექტრონული ვერსია.

სადისერტაციო საბჭოს წევრთა სხდომაზე დასწრების ფურცელი

“ ..... “ .....200.....

ოქმი №.....

დოქტორანტი – სახელი, გვარი

დარგი

№	საბჭოს წევრის გვარი, სახელი	სპეციალობა	საბჭოს სხდომაზე დასწრება (ხელმოწ.)	ბიულეტენის მიღება (ხელმოწერა)

სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე .....

სადისერტაციო საბჭოს წევრის კენჭისყრის ბიულეტენი

“ ..... “ .....200.....

ოქმი №.....

დოქტორანტი - სახელი, გვარი

დარგი -

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას

ვეთანხმები

არ ვეთანხმები

სადისერტაციო საბჭოს ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი

“.....“ .....200.....

ოქმი №.....

დოქტორანტი - სახელი, გვარი

დარგი -

სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭო დამტკიცებულია გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე ..... წევრის შემადგენლობით.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს ..... წევრი.

დარიგდა ..... ბიულეტენი

აკადემიური ხარისხის მინიჭების მომხრე - ....., წინააღმდეგი - ....., ბათილი ბიულეტენი .....

ფარული კენჭისყრის შედეგი: ( სახელი, გვარი) მიენიჭოს/ დოქტორის აკადემიური ხარისხი (დარგი) .....

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე .....

კომისიის წევრები .....

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე .....